



ქართული უნივერსიტეტი

მოსწავლეთა VIII პირადგუნდური საგნობრივი ოლიმპიადა

მათემატიკა - V კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____


სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

ამოცანები

- 1) აქ გამოსახულ 9 წრეში ისე განალაგეთ რიცხვები 1-დან 9-ის ჩათვლით , რომ AB გვერდზე ჩაწერილი რიცხვების ჯამის კვადრატი იყოს BC გვერდზე ჩაწერილი რიცხვების ჯამის კვადრატისა და AC გვერდზე ჩაწერილი რიცხვების ჯამის კვადრატის ტოლი.



- 2) 21 ბავშვისთვის 200 თხილის დარიგებას აპირებენ. არ გამორიცხავენ, რომ ზოგიერთს არც შეახვედრონ თხილი. ნებისმიერი დარიგებისას შეიძლება თუ არა, რომ ყველას განსხვავებული ოდენობის თხილი შეხვდეს
- 3) აღმოაჩინეთ რაიმე კანონზომიერება 1; 3; 6; 10; 15; 21; . . . მიმდევრობის შედგენაში და ამ კანონზომიერების მიხედვით დაასახელეთ მიმდევრობის: ა) მეცხრე წევრი; ბ) წევრი, რომლის ნომერია n .
- 4) დღეს შვილიშვილი და ბებია თავიანთ დაბადების დღეს აღნიშნავენ. ახლა შვილიშვილი ზუსტად იმდენი თვისაა, რამდენი წლისაც გახდა ბებია. ამასთანავე, ბებია 66 წლით უფროსია შვილიშვილზე. რამდენი წლის შემდეგ გახდება შვილიშვილი 36 წლის?
- 5) ერთი შესაკრები ნულით ბოლოვდება, მეორე შესაკრები მიიღება პირველისგან ამ ნულის ჩამოშორებით და მიღებული რიცხვისთვის მარცხნიდან 1-ის მიწერით. მოცემული რიცხვების ჯამი 925 -ის ტოლია. იპოვეთ ეს რიცხვები.
- 6) რიცხვის 4-ზე გაყოფისას ნაშთი აღმოჩნდა 3-ის ტოლი. რა ნაშთი შეიძლება მიიღოთ ამავე რიცხვის გაყოფისას 8-ზე? 12-ზე?
-
- 7) ზოგიერთ ბილეთში 1) ამოცანის ნაცვლად შეტანილი იყო ამოცანა იმავე ნახაზის მიხედვით: აქ გამოსახულ 9 წრეში ისე განალაგეთ რიცხვები 1-დან 9-ის ჩათვლით , რომ AB გვერდზე ჩაწერილი რიცხვების ჯამის კვადრატი იყოს ჯამი: BC გვერდზე ჩაწერილი რიცხვების ჯამის კვადრატისა და AC გვერდზე ჩაწერილი რიცხვების ჯამის კვადრატის.